



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

01 აგვისტო 2024



N 401/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლიხაურში ფ/პ გია ჩხატარაშვილის სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფ/პ გია ჩხატარაშვილის მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლიხაურში სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ფ/პ გია ჩხატარაშვილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლიხაურში, თავისთავად საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 26.16.22.193 და 26.16.22.222; ჯამური ფართობი: 6275 მ²) გეგმავს მოცვის ბაღის გაშენებას და 2000 ძირი ლურჯი მოცვის ნერგის დარგვას, რომელთა სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად, გათვალისწინებულია სამელიორაციო სისტემის მოწყობა. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 140 მეტრით, ხოლო წყალაღების წერტილიდან – 300 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მოცვის ბაღის მოსარწყავად საჭირო წყლის ამოღება მოხდება 3 მეტრი სიღრმის წყალშემკრები ორმოდან (GPS კოორდინატებია X-250157, Y-4641207), რომელიც შეივსება საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ, სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებული არხიდან. აღნიშნული არხი იკვებება წყაროებითა და ატმოსფერული ნალექებით. წყალშემკრებ ორმოში განთავსდება ბეტონის სარტყელები და 1 კვტ/სთ სიმძლავრისა და 2 მ³/სთ წარმადობის მქონე ელექტროტუმბო. ორმოდან ამოღებული წყალი დაახლოებით 3 მეტრი სიღრმის მქონე მილსადენის საშუალებით მიყვანილი იქნება 1 მ³ მოცულობის ფერტიგაციის რეზერვუართან (GPS კოორდინატები: X-250160, Y-4641204). სარწყავად აღებულ წყალში ცოცხალი ორგანიზმების მოხვედრისაგან დაცვის მიზნით მილსადენის თავი დაიფარება ბადით, რომლის თვალის სიდიდე იქნება 0,1 სმ. ფერტიგაციის სადგურიდან სარწყავი წყალი 1000 მეტრი სიღრმისა და 25 მმ დიამეტრის მქონე მაგისტრალური და 1000 მეტრი სიღრმისა და 12 მმ დიამეტრის მქონე რიგთაშორისი საწვეთურიანი მილებით გადანაწილდება მოცვის ნერგებამდე.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მოცვის ბაღის მორწყვა დაგეგმილია სეზონურად, წელიწადში 3 თვის განმავლობაში (ივნისი-აგვისტო). თითოეულ თვეს ასაღები წყლის მოცულობა შეადგენს 48 მ³-ს, ხოლო წლის განმავლობაში ჯამურად აღებული იქნება 144 მ³ წყალი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სარწყავი სისტემისა და მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურის მოწყობა არ საჭიროებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს. მილსადენის განსათავსებლად მომზადდება 0,10 მეტრი სიღრმისა და 0,20 მეტრი სიგანის ტრანშეა, რომლის გაყვანაც მოხდება ხელით. ტრანშეის მომზადების პროცესში ექსკავირებული გრუნტი სრულად იქნება გამოყენებული უკუყრისთვის, რომელზეც განეფინება საპროექტო ტერიტორიაზე მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 5-7 დღეს და დასაქმდება დაახლოებით 5-8 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სარწყავი სისტემისა და მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ სამუშაოებში სამშენებლო ტექნიკა გამოყენებული არ იქნება, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება წყალადების წერტილში განთავსებული 1 კვტ/სთ სიმძლავრისა და 2 მ³/სთ წარმადობის მქონე ტუმბო. აღნიშნული ტუმბოს მცირე სიმძლავრისა და წყალადების წერტილიდან უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას, გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და არ წარმოადგენს ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელ საარსებო გარემოს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამელიორაციო სისტემის მოწყობა არ ითვალისწინებს მრავალწლიანი ხე-მცენარეული საფარის ჭრას. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლიხაურში ფ/პ გია ჩხატარაშვილის სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ფ/პ გია ჩხატარაშვილი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ გია ჩხატარაშვილს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ გია ჩხატარაშვილის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



<https://edocument.ge/mea/public/#/401-21-4-202408011624>

